პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 71 (9539) | ოთხშაბათი, 25 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში ია

ძმედითი სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისათვის! — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთოთხმეტე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).

სადღეისო თემაზე. — „ტყის დღე" (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — სტუდენტობა ეუფლება დიდი სტალინის უკვდავ იდეებს (მე-2 გვერდი).

ს. ხარაზიშვილი. — შუქი ხრამის ხეობიდან (მე-2 გვერდი)

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

ვ. გელაშვილი. — დიდი სტალინის სახელით (მე-2 გვერდი).

შენიშვნები ახალ წიგნებზე. — ...ია. ...ბის ...ანიოლოგია. ...ბი სახელოვან მსახიობზე. ლექსები ბავშვებისათვის (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას. — სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავისათვის დედაქალაქში. საღ მოვნახოთ წყალსადენის ხელოსანი ან ელექტრომონტიორი? (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ძმედითი სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისათვის!

ძლავრმა საკოლმეურნეო წყობილებამ, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის სიამაყეს წარმოადგენს, უშალალოდ ფართო შესაძლებლობანი შექმნა მეცნიერული მოღვაწეობისათვის. საბჭოთა მეცნიერები საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებთან მჭიდრო კავშირით წარმატებით წყვეტენ ბუნების გარდაქმნის, ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების მცენარეების, მაღალპროდუქტიული ჯიშების პირუტყვის გამოყვანის, ახალი კონსტრუქციების მანქანების შექმნის საყოველთაო-სახალხო ამოცანებს. ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედება სულ უფრო კვალიფიციური და პროდუქტიული ხდება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების შესანიშნავი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის.

ჯერ კიდევ 1933 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე წარმოთქმულ ბრძნულ სიტყვაში დიდი სტალინი მიგვითითებდა: **„საკმარისია გავაუმჯობესოთ მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენება, საკმარისია გავაუმჯობესოთ მიწის დამუშავება — და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გავადიდებთ ჩვენი პროდუქტების რაოდენობას ერთიორად, ერთისამად".**

საბჭოთა აგრონომიულმა მეცნიერებამ, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწინავე პრაქტიკამ დიდი გამოცდილება შეიძინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. აგრო-ზოოტექნიკის ახალი პროგრესული ხერხები და მეთოდები, მექანიზაციის დარგში თვალსაჩინო მიღწევები უფრო მეტ გამოყენებას პოულობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების მთელი ძალით გამოყენებისა და გავრცელებისათვის ჩვენს დიად ქვეყანაში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სპეციალური სისტემა.

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ წარმოებაში მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სამუშაოები ზუსტად სრულდებოდეს.

ცნობილია, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის უზრუნველყოფა უახლოეს წლებში საკუთარი მარცვლეულით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ღირსებისა და სახელის საქმეა შეასრულონ დიდი სტალინის ანდერძი — მოიყვანონ იმდენი ჩაი, რამდენიც საბჭოთა ქვეყანას ესაჭიროება და ციტრუსოვანთა ნაყოფით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა; შეუპოვრად იბრძოლონ საქართველოს ჩამორჩენილი დარგების — მევენახეობის, მეხილეობის, მეაბრეშუმეობის მოწინავე დარგებად გადაქცევისათვის.

ამ სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოებმა.

სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით არსებით ნაკლოვანებებს. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრნი არიან მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ცნობილი მექანიზატორები, უხვი მოსავლის ოსტატები და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის მებრძოლნი. მათს გამოცდილებაზე საფუძვლიანი ბროშურების გამოცემა სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოების მუშაკთა ღვიძლი საქმეა. ამავე დროს კი საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველომ ვერ უზრუნველყო საყურადღებო ბროშურების გამოცემა ყურძნის, ხილის, აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის ოსტატთა მუშაობაზე.

მეცნიერების, ტექნიკის თანამედროვე მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების გავრცელების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და ტექნიკური კულტურების სამინისტროების საწარმოო სამმართველოებმა. მაგრამ ზოგიერთი სამმართველო მოწინავე გამოცდილების დანერგვის დარგში მუშაობას თავის საქმედ არა თვლის, ცდილობს იგი სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოებს გადააკისროს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველოსა და სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს შორის მჭიდრო კავშირის უქონლობის შედეგად პროპაგანდის სამმართველოს მიერ მექანიზატორთა დასახმარებლად გამოცემულ პლაკატში დამახინჯებულად არის ნაჩვენები საათობრივი გრაფიკით მუშაობა.

აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოებმა გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა, აიყვანონ ის ახალი ამოცანების დონეზე. ამ მხრივ მათ სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. საჭიროა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ამ საქმისადმი, აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის მუშაკთა პასუხისმგებლობა ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის ფართოდ გავრცელებისათვის წარმოებაში. **„პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა ის არის, — აღნიშნა** ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — **რომ ყოველმხრივ განავითარონ მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა, გაამრავლონ უხვი მოსავლის და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის ოსტატთა რიგები, მხარი დაუჭირონ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს, უფრო სწრაფად დანერგონ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, რაც მოპოვებულია სოფლის მეურნეობაში".**

1953 წელს დასახულია ჩვენს რესპუბლიკაში 90-მდე პროგრესული ღონისძიების ფართო მასშტაბით განხორციელება მემცენარეობის, მეცხოველეობის, მექანიზაციისა და სხვა დარგებში. მთელი მუშაობა ამთავითვე ისე უნდა წარიმართოს, რომ ეს სამუშაო აუცილებლად შესრულდეს.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები და სპეციალისტები მთელ საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, შეუპოვრად იბრძვიან საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის უფრო განმტკიცებისათვის. უხვ მოსავალს საფუძველი გაზაფხულზე ეყრება. მარცვლეული და ტექნიკური კულტურების დროული და მაღალხარისხოვანი თესვა მოსავლიანობის აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართონ საგაზაფხულო თესვის გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისაკენ.

მიჩურინული მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მიღწევების, გამოცდილების პროპაგანდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სწრაფად დანერგვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სიუხვის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენს დიად სამშობლოში



ნოვოსიბირსკის სამშენებლო მანქანების ქარხანა ასრულებს შეკვეთებს კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის. მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნავს მუშაობის თვითეულ დღეს ამწყობთა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც პარტიის წევრობის კანდიდატი ალექსანდრე კულალაევი ხელმძღვანელობს. ბრიგადა მძლავრი დუღაბსარეველების აწყობაზე მუშაობს და საწარმოო დავალებებს 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ს-289 დუღაბსარეველების აწყობა. წინა პლანზე ბრიგადირი ა. კულალაევი.

ფოტო ვ. ლეშჩინსკისა.

(საკავშირო ფოტოქრონიკა).



კახოეკის პიდროკვანძის მშენებლობაზე. დღითიდღე ფართოვდება მშენებლობა დნეპრზე. წელს მშენებლებმა ოთხას ათი ათასი კუბმეტრი რკინაბეტონი უნდა ჩაასხან პიდროსადგურის, კაშხალის რაბის ასაგებად.

სურათზე: ცენტრალური ავტომატიზებული ბეტონის ქარხნის სასილოსე კოშკების მონტაჟი. ქარხანა დღეღამეში გამოუშვებს 4 ათას ტონა ბეტონს.

ფოტო ი. ლიხუტასი.

(საკავშირო ფოტოქრონიკა).

დონის მეშახტეთა საყოფაცხოვრებო კომბინატები

სტალინო, 23 მარტი. (საკდესი). „კუიბიშევუგოლის" ტრესტის შვერნიკის სახელობის № 11 შახტში დამთავრდა ახალი ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობა. მრავალსართულიან კორპუსში მოწყობილია საშხაპეები, მექანიზებული სამრეცხაო. სპეციალური სადგომები აქვს დამონტაჟებული სამედიცინო პუნქტს, საპარიკმახეროს, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სახელოსნოს.

მეხუთე ხუთწლედის დასაწყისიდან „სტალინუგოლის" კომბინატის შახტებში აგებულია თხუთმეტი ახალი ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა, რომლებშიც არის ყველაფერი, რაც საჭიროა მაღაროელთა მომსახურებისათვის შახტში ჩასვლის წინ და მიწის ზედაპირზე ამოსვლის შემდეგ. № 3-ბის შახტში, ჩელუსკინეცთა სახელობის შახტში, № 16-17 შახტ „ევდოკიევკაში" და სხვა შახტებში აგებულ ახალ შენობებში ეწყობა ინგალატორიუმები და ფოტოლაუმები.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა შახტების საყოფაცხოვრებო შენობათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დონეცის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შემუშავებულია უახლესი ტიპის საშახტო კომბინატის პროექტი. კომბინატში გარდა ჩვეულებრივი მოწყობილობისა, გათვალისწინებულია ისეთი მოწყობილობის დადგმა, რომელიც მტვერს გააცლის სამუშაო ტანსაცმელს, მექანიკურად დაგვის სადგომებს, ავტომატურად დამუხტავს და გასცემს სააკუმულატორო ლამპებს და სხვ.

კუიბიშევის ნავსადგურის რეკონსტრუქცია

კუიბიშევი, 23 მარტი. (საკდესი). გაჩაღდა კუიბიშევის ნავსადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

მშენებლები ამჟამად წყალქვეშ აშენებენ 420 მეტრი სიგრძისა და ოთხ მეტრზე მეტი სიმაღლის ქვის პრიზმს. იგი შეაკავებს იმ მიწის უდიდესი მასის დაწოლას, რომელიც უნდა დაიყაროს აქ ზედა მოლის მოედნის გასაფართოებლად.

ამ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა ჯერ კიდევ წარსულ შემოდგომაზე დაიწყო. „ვოლგუსკაია-22" მიწახაპამ ამოიღო ფსკერიდან 8.300 კუბური მეტრი მდინარის შლამი და მოამზადა წყალქვეშა ქვაბული. შემდეგ დაიწყო პრიზმის საფუძვლის მოწყობა. ქვაბულის ფსკერში ჩაყარეს დაახლოებით სამი ათასი კუბური მეტრი ქვიშა და შემდეგ ამდენივე ღორღი. ამრიგად მომზადებულ საფუძველზე დაიწყო ქვის პრიზმის აგება.

ამავე დროს მიმდინარეობს მიწის სამუშაოებისათვის მზადება. წელს გეგმით გათვალისწინებულია 40 ათასი კუბური მეტრი ქვიშა დაიყაროს ახალ სანაპიროზე. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს დაყარონ 100 ათასი კუბური მეტრი.

სადღეისო თემაზე

„ტყის დღე"

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, მისი ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრუნვის საგანია. იმ მრავალმხრივ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ამ მიზნით ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქებისა და სოფლების გამწვანების სამუშაოებს, ტყეებისა და ხეხილის გაშენებას. ტყეებს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო როგორც მერქნის წყაროს, არამედ როგორც მოსავლიანობის ამაღლებისა და ჰავის გაუმჯობესების საშუალებას. ტყეები თავიდან გვაცილებენ ნიადაგის ეროზიას, დიდ გავლენას ახდენენ წყალის რეჟიმზე, მდინარეთა დინების რეგულირებაზე, აჯანსაღებენ ჰაერს.

გამწვანების, ტყის გაშენებისა და მათი დაცვისათვის ხელშეწყობის კეთილშობილური ამოცანა აქვს დაკისრებული ნებაყოფლობითს საზოგადოება „ტყის მეგობარს", რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში 6 წლის წინათ შეიქმნა. ამ საზოგადოების ხელმძღვანელობით ყოველწლიურად, გაზაფხულზე ეწყობა „ტყის დღე", რომლის მიზანია ტყისა და მწვანე ნარგავთა გაშენება. მასში აქტიურად მონაწილეობენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები, საზოგადოების წევრები.

წელს „ტყის დღე" ჩვენს რესპუბლიკაში 1 მარტს დაიწყო და 1 აპრილამდე გაგრძელდება. სულ ამ ხნის მანძილზე დაირგვება 4 მილიონი ძირი ხე და ბუჩქი. ტყეები და მწვანე ნარგავები გაშენდება გზების გაყოლებით, მდინარეებისა და სარწყავი არხების ნაპირებზე, საწარმო-დაწესებულებათა და სკოლების ეზოებში, მიწათმოქმედებისათვის გამოუყენებელ საკოლმეურნეო ფართობებზე.

„ტყის დღე" უკვე მოეწყო საქართველოს ბევრ ქალაქსა და რაიონში. ქალაქ თბილისში „ტყის დღეში", რომელიც 22 მარტს ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო მრავალმა მშრომელმა, საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებმა, საზოგადოება „ტყის მეგობრის" ათასობით წევრმა. ამ დღეს თბილისში ვეგმით გათვალისწინებული 200 ათასი ძირის ნაცვლად დაირგო 220 ათასზე მეტი ხე და სხვადასხვა ხეხილი. კიროვის რაიონის მშრომელებმა მარტო მარნეულის გზატკეცილის მომიჯნავე მაღლობზე დარგეს 5 ათასზე მეტი ხეხილი და ფოთლოვანი მცენარე, ნარგავების მოსარწყავად გაიყვანეს წყალსადენის ქსელი.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" ადგილობრივი ორგანიზაციების მოვალეობაა ორგანიზებულად და ნაყოფიერად ჩაატარონ „ტყის დღე", მიაღწიონ მასში საზოგადოების წევრთა, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას, უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებული ხეებისა და ბუჩქების დარგვა. ჯიშების შერჩევისას კარგად უნდა იქნას გათვალისწინებული ცალკეული რაიონის ჰავისა და ნიადაგის პირობები. ამ საქმეში საზოგადოებას უნდა დაეხმარონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობარი" რესპუბლიკური საბჭოს, მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანაა ფართოდ გაანალოს მოსახლეობაში ტყისა და მწვანე ნარგავების მნიშვნელობაზე ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მოაწყონ ლექციები და მოხსენებები. ამ საქმეში ჩაბან სპეციალისტები.

მწვანე ნარგავთა გაშენება საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია მათი გახარება და შემდგომი მოვლა-პატრონობა. საზოგადოებამ, მისმა წევრებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ თვითეულმა ნარგავმა გაიხაროს, რომ მისი მოვლა-პატრონობა და დაცვა მთელი საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანს წარმოადგენდეს. განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება შეუძლია ამ მხრივ ახალგაზრდობას, კერძოდ მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციები ფართო ინიციატივასა და ქმედითობას უნდა იჩენდნენ.

ნებაყოფლობითს საზოგადოება „ტყის მეგობარს", მის ადგილობრივ ორგანიზაციებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში სისტემატურად უნდა ხელმძღვანელობდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთოთხმეტე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთოთხმეტე ტომი.

თარგმანი შესრულებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამეთოთხმეტე და ოცდამეთხუთმეტე ტომები, რომლებითაც მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემა, შეიცავენ ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერას ორგანიზაციებთან და პირებთან — წერილებს, დეპეშებსა და ბარათებს — 1895-დან 1922 წლამდე. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი: წიგნები, ბროშურები, სტატიები, მოხსენებები, სიტყვები, რეზოლუციები, წერილები ი. ბ. სტალინისადმი, ჯრეთვე განსაკუთრებული თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სხვა წერილები შესულია წინა ოცდაცამეტ ტომში.

34-ე და 35-ე ტომებში შეტანილი დოკუმენტები შეადგენენ ლენინის მიწერ-მოწერის მნიშვნელოვან ნაწილს და წარმოადგენენ ლენინის იმ ნაწარმოებთა უძვირფასეს დამატებას, რომლებიც დაბეჭდილია თხზულებათა წინა ტომებში. ამ დოკუმენტებში ასახულია ლენინის უდიდესი მრავალმხრივი მოღვაწეობა ბოლშევიკური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად, მისი შეუფერებელი ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობა.

ოცდამეთოთხმეტე ტომში შედის ვ. ი. ლენინის წერილები, რომლებიც დაწერილია 1895 წლის ნოემბრიდან 1911 წლის ნოემბრამდე.

1895-1901 წლების წერილები ახასიათებს ლენინის მოღვაწეობას რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შესაქმნელად, მის ბრძოლას ნაროდნიკობის, „ლეგალური მარქსიზმის", „ეკონომიზმის" წინააღმდეგ. ტომში მოთავსებული წერილები გ. ვ. პლეხანოვისადმი, ლ. მ. კნიპოვიჩისადმი, ნ. ე. ბაუმანისა და სხვებისადმი გვიჩვენებენ, თუ როგორ ხორციელდებოდა რევოლუციურ მარქსისტთა პირველი საერთო-რუსული გაზეთის „ისკრის" შექმნის ლენინური გეგმა, გვიჩვენებენ ლენინის ხელმძღვანელ როლს „ისკრაში", მის ბრძოლას გაზეთის რედაქციის შიგნით.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ 1901-1904 წლების წერილები. ამ პერიოდის წერილთა ჯგუფი, რომლებიც მიმართულია გ. ვ. პლეხანოვისადმი, მიძღვნილია პროლეტარული პარტიის რევოლუციური პროგრამის შექმნის საკითხებისადმი. მიწერ-მოწერაში ხარკოვისა და ნიჟნი-ნოვგოროდის ადგილობრივ კომიტეტებთან, პეტერბურგის ორგანიზაციასთან (წერილი ი. ვ. ბაბუშკინისადმი და სხვ.), პარტიის II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტთან ლენინი მოუწოდებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაირაზმონ „ისკრის" პროგრამული და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე, იძლევა კონკრეტულ მითითებებს პარტიული მუშაობის გასაჩაღებლად და პარტიის ყრილობის მოსამზადებლად. პარტიის II ყრილობის შემდეგ დაწერილ მთელ რიგ წერილებში ლენინი ამხილებს გამთიშველ საქმიანობას, რასაც მენშევიკები ეწეოდნენ, შეურიგებლად ებრძვის ზოგიერთ გახრწნილ ბოლშევიკს (კრასინი, ნოსკოვი, გალპერინი), რომლებიც მენშევიკების მხარეზე გადავიდნენ და ეხმარებოდნენ მათ ხელში ჩაეგდოთ უმრავლესობა ცენტრალურ კომიტეტში. ასეთია წერილები: ცენტრალური კომიტეტის, ციმბირის კომიტეტის, ნ. ე. ვილონოვის, ა. მ. სტოპანის, რ. ს. ზემლიაჩკასადმი და სხვ.

ტომში მოთავსებული წერილები კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ასახავენ ლენინის ხელმძღვანელობას კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი, რომლებსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი.

რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907 წ. წ.) პერიოდის წერილები ასახავენ ლენინის ბრძოლას პარტიის III ყრილობის მოწვევისა და მის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ბოლშევიზმის ტაქტიკური პრინციპებისათვის. მათ რიცხვს ეკუთვნის წერილები ცენტრალური კომიტეტისადმი, ს. ი. გუსევისადმი, რ. ს. ზემლიაჩკასადმი და სხვ.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდის მიწერ-მოწერა გვიჩვენებს ლენინის ბრძოლას ლიკვიდატორობის, ტროცკიზმის, ოტზოვიზმ-უალტმატიზმის, შემარიგებლობის წინააღმდეგ, რევოლუციური მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დამახინჯების წინააღმდეგ. ტომში იბეჭდება წერილი გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" რედაქციისადმი. ამ წერილში ლენინმა დაგმო ტროცკი როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და ფრაქციონერი. ტომში დაბეჭდილ მთელ რიგ წერილებში მხილებული არიან საერთაშორისო რევიზიონისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუს ოპორტუნისტ-მენშევიკებს.

ვ. ი. ლენინის 1908-1911 წლების მიწერ-მოწერაში დიდი ადგილი უჭირავს წერილებს ა. მ. გორკისადმი.

ოცდამეთოთხმეტე ტომში შეტანილი წერილები გვიჩვენებენ ლენინის ბრძოლას მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, პარტიული ძალების დარაზმისათვის, იმისათვის, რომ ბოლშევიკები ჩამოყალიბებულიყვნენ დამოუკიდებელ პარტიად, ახალი ტიპის პარტიად, ლენინიზმის პარტიად, ბოლშევიკურ პარტიად, რაც დამთავრდა პრაღის კონფერენციის მოწვევით 1912 წლის იანვარში.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად არის შეტანილი შემდეგი წერილები, რომლებიც წინათ გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა გაზეთებში: რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციისადმი, 1904 წ. 26 თებერვალი; მ. კ. ვლადიმიროვისადმი, 1904 წ. 15 აგვისტო; კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი, 1904 წ. 20 დეკემბერი; რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციისადმი, 1904 წ. ოქტომბერი-დეკემბერი; წერილი ამხანაგისადმი რუსეთში, 1905 წ. 6 იანვარი; ხუთი წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი, 1905, 1907 და 1908 წლები; ა. მ. გორკისადმი, 1908 წ. 7 თებერვალი; პ. იუშკევიჩისადმი, 1908 წ 10 ნოემბერი; წერილი გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" რედაქციისადმი, 1909 წ. 24 აგვისტო; მონახაზი წერილისა „შემნახველებისადმი", 1910 წ. თებერვალი-მარტი; ნ. გ. პოლეტაევისადმი, 1910 წ. 7 დეკემბერი და სხვა წერილები

ამ ტომში პირველად ქვეყნდება წერილი გ. დ. ლეიტეზენისადმი 1902 წლის 24 ივლისის თარიღით, სადაც ლენინი აღნიშნავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარაზმვას „ისკრის" გარშემო.

• • •

34-ე და 35-ე ტომებში შესული წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური რიგით, რუსეთიდან გაგზავნილი წერილები აღნიშნულია ძველი სტილით, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი — ახალი სტილით. ლენინის მიერ დათარიღებულ წერილებში თარიღების ადგილი და დაწერილობა დატოვებულია ხელნაწერის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა ლენინის ხელნაწერში თარიღი არ არის, იგი მოცემულია რედაქციის მიერ წერილის ბოლოს, თვითეული წერილისათვის ნაჩვენებია რიგითი ნომერი, ვის და სად გაეგზავნა წერილი, დაწერის თარიღი და გამგზავნის მისამართი.

მოკლე შენიშვნებს გარდა, წერილთა ტომებში მოთავსებულია იმ ფსევდონიმების, მეტსახელებისა და ინიციალების გაშიფვის მაჩვენებლები, რომლებიც წერილების ტექსტში გვხვდება.

(საქდესი).

სომხურ ენაზე გამოიცა გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები სამგლოვიარო მიტინგზე ი. ბ. სტალინის დაკრძალვის დღეს

ერევანი, 23 მარტი. (საკდესი). სომხეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ სომხურ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოუშვა ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები სამგლოვიარო მიტინგზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის დღეს წითელ მოედანზე 1953 წლის 9 მარტს.

ბროშურები გამოცემულია მასობრივი ტირაჟით.

პარტიული ცხოვრება

სტუდენტობა ეუფლება დიდი სტალინის უკვდავ იდეებს

სუხუმის ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ დირექციასთან ერთად სათანადო მუშაობა გასწია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, ი. ბ. სტალინის ახალი ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ფართო პროპაგანდისა და ღრმად შესწავლისათვის, დიდი სტალინის უკვდავი იდეებით სტუდენტობისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეიარაღებისათვის.

გასული წლის დეკემბერში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო სტუდენტთა თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი პარტიის XIX ყრილობის მასალებისადმი. კარგად დაწერილი მოხსენებები წაიკითხეს კონფერენციაზე სტუდენტებმა ს. შარიამ და ს. კვარაცხელიამ. ს. შარიამ თავის მოხსენებაში „პარტიის XIX ყრილობა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები ჩვენს ქვეყანაში“ ღრმად გააშუქა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ყრილობის მუშაობის ცენტრში იყო და რომლებიც საფუძვლად დაედო ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარდა აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ნაშრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. სამეცნიერო სესიაზე სულ მოსმენილ იქნა 9 მოხსენება, მათ შორის, დოცენტ ნ. ხურციძის მოხსენება. ამ მოხსენებაში მოცემული იყო იმ შეცდომების კრიტიკა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ მეცნიერებაში ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის გამოსვლამდე.

ინსტიტუტის დირექცია და პარტბიურო პროფესორ-მასწავლებლებისა და პარტიულ-კომკავშირული აქტივისათვის მართავენ ლექციების ციკლს ამხანაგ სტალინის შრომაზე. მოეწყობა აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო სესია, რომელზეც მოსმენილ იქნება მოხსენებები ღიდი სტალინის ახალ შრომაში გაშუქებულ საკითხებზე.

პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის პარტიის XIX ყრილობის მასალებისა და დიდი სტალინის კლასიკური ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ პროპაგანდის მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტები. მათ უკვე მოაწყეს მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების და ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ინსტიტუტში ძირითადად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობა. ამას ნათლად ადასტურებს სტუდენტთა აკადემიური წარმატების ზრდა. თუ გასულ სასწავლო წელს სტუდენტთა აბსოლუტური წარმატება 82 პროცენტს შეადგენდა, წელს საზამთრო საგამოცდო სესიების შედეგად იგი 92,8 პროცენტამდე გაიზარდა. ამაღლდა აკადემიური წარმატება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებში. სემინარულ მეცადინეობაზე ინსტიტუტის სტუდენტები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების გაშუქების დროს ხელმძღვანელობენ დიდი ბელადის ახალი გენიალური ნაშრომით. პოლიტიკურ ეკონომიაში სემინარული მეცადინეობა განსაკუთრებით ორგანიზებულად მიმდინარეობს გეოგრაფიის ფაკულტეტის მე-4 კურსზე.

ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მიერ დღემდე გაწეული მუშაობა პარტიის XIX ყრილობის მასალებისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომის შესწავლისათვის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმ დიდი ამოცანების განხორციელების გზაზე, რომლებიც ამჟამად უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დგას. იდეოლოგიური მუშაობის ფრონტზე ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ნაკლია ის, რომ ინსტიტუტის პარტბიურო საკმაო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევს მუდმივმოქმედ სემინარებს, არ განიხილავს სემინარების მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს და დროზე არ არკვევს არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. პარტბიუროს განზრახული აქვს გამოიკვლიოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების შემსწავლელი მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობა და უზრუნველყოს ამ მუშაობის გაუმჯობესება.

ცნობილია, რომ სადაც იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ, სადაც ამ საქმეს ფორმალურად ეკიდებიან, იქ ხშირია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცხო ჩვევების გამოვლინების შემთხვევები. ამას ნათლად ადასტურებს ჩვენი ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მაგალითი. მიუხედავად მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, ფაკულტეტზე ჯერ კიდევ არის დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები. საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შეუფერებელი, ამორალური საქციელი ჩაიდინეს კომკავშირელებმა ნ. დარახველიძემ, ნ. ლუკავამ, ვ. ჯღარკავამ, ზოგიერთი სტუდენტი ხშირად აცდენს ლექციებს.

თავის მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები ცდილობენ გაავრცელონ, გაადვივონ და გააჩაღონ ყოველგვარი არაჯანსაღი განწყობილებანი, იდეოლოგიურად გახრწნან ჩვენი საზოგადოების მერყევი ელემენტები“. მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს და ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ გადაჭრით გავუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა, ავიყვანოთ იგი მოწოდების სიმაღლეზე, სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ჩვენს რიგებში ისეთ ადამიანებს, რომლებიც თავისი მერყეობით, სუსტი ნებისყოფით, უდისციპლინობითა და ხულიგნური საქციელით მტრის საქმეს აკეთებენ.

ამასწინათ თბილისში მოეწყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების სემინარი ი. ბ. სტალინის ახალ კლასიკურ ნაშრომთან დაკავშირებით. უეჭველია ეს სემინარი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის ხარისხის ამაღლებას. მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ სემინარის მუშაობას გაცნობოდნენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების, არამედ სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების მდივნებიც.

ჩვენი ინსტიტუტის ლექტორები, რომლებიც სსრ კავშირის და მსოფლიო ისტორიის დარგში მუშაობენ, მოითხოვენ, რომ მათთვის ეწყობოდეს რესპუბლიკური შეკრებები. ასეთი შეკრებები, სემინარები და თათბირები დიდ სარგებლობას მოგვიტანდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში ძალიან ცოტა იწერება იმაზე, თუ როგორ უნდა მოაწყონ იდეოლოგიური მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების პარტორგანიზაციებმა.

კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა, გენიალურმა ბელადმა, ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამით შეიარაღა პარტია და ხალხი. ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულმოდგინედ სწავლობენ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომებს, მთელი თავიანთი ენერგიით ეწაფებიან დიად სტალინურ იდეებს.

ლ. რიგვავა,

სუხუმის ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი.

მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით „საქსოფლპროექტმა“ შეიმუშავა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები შენობის ტიპური პროექტი. განზრახულია საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებში მარტო წელს აშენდეს 300 ასეთი შენობა.

ჭიის გამოსაკვებ შენობაში გათვალისწინებულია ყველა პირობა გამოკვების ტექნოლოგიური პროცესის დასაცავად. აქ იქნება თუთის ფოთლის შესანახი ფარდული, სათავსოები ჭიის გამოსაკვებად ასაკების მიხედვით და ოთახი მომსახურე პერსონალისათვის. ტემპერატურის დაწევის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ოთახების გათბობა.

შენობის პროექტი დამუშავებულია რამდენიმე ვარიანტით, რათა მისი აგება შესაძლებელი იყოს ადგილობრივი მასალების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად გააიაფებს მის მშენებლობას. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით შენობის კონსტრუქციების დამზადება მოსახერხებელი იქნება ცენტრალიზებული წესით. შენობის გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვა დანიშნულებისამებრ ჭიის გამოკვების დამთავრების შემდეგ.

აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები შენობების მშენებლობა დავალებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სოფლისა და საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველოს.

მოწინავე მეცხოველეთა დაჯილდოება

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამოვლინებულ იქნა პირუტყვის ნამატის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის საუკეთესოდ მომუშავე ადამიანები.

რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დაჯილდოებულთა შორის არიან სოფელ ელიავწმინდის საბჭოთა საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მწველავი ბაბალე ბერიძე, რომელმაც მოსავლელად მიჩენილ 13 ძროხაზე მიიღო 13 ხბო და ნამატი მთლიანად შეინარჩუნა; წყალთბილის კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრის“ ფერმის მწველავმა ს. მურადიანმა 12 ძროხის ნამატი მთლიანად შეინარჩუნა და გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრის ნაცვლად თვითეულ ძროხაზე 1.085 ლიტრი რძე მიიღო. ფულადი პრემიები 8.000 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნათ აგრეთვე მეცხვარე ს. ინასარიძეს (სოფელი ელიავწმინდა), ბუღებისა და დეკეულების მომვლელს მ. ჩიტაშვილს (დაბა ვალე), ი. ლაზარაშვილს (ზემო სხვილისი), ღორების მომვლელს მარო დალალიშვილს (სვირი) — სულ 37 კაცს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 18 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ სსრ კავშირში, თავისი მთავრობის დავალებით, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ 15 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების „რბ-50“ ტიპის თვითმფრინავს თითქოს თავს დაესხნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლები გაშლილ ზღვაზე პუნქტში, რომლის კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 54 გრადუსი და 02 მინუტი და აღმოსავლეთის გრძედის 161 გრადუსი და 04 მინუტი (კამჩატკის ნაპირებთან). ამერიკის შეერთებული შტატების ნოტაში განცხადებული იყო პროტესტი ამის გამო.

21 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 1953 წლის 18 მარტის № 683 ნოტის პასუხად, საჭიროდ თვლის გაცნობოთ შემდეგი.

შემოწმებული ცნობებით გამორკვეულია, რომ ამერიკის „ბ-29“ ტიპის ბომბდამშენმა ამა წლის 15 მარტს 11 საათსა და 57 წუთზე ადგილობრივი დროით „კრესტოვის“ კონცხის რაიონში (კამჩატკის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი) დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი და გადაუფრინა კამჩატკის ტერიტორიას 70 კილომეტრამდე ნაპირის კიდიდან 15-17 კილომეტრ მანძილზე, სულ ცოტაღა დააკლდა „მუტნოვსკაიას“ გორაკამდე მისვლას, სოლო ამის შემდეგ გაბრუნდა ზღვისკენ.

12 საათსა და 26 წუთზე კვლავ გამოჩნდა ამერიკის „ბ-29“ ტიპის ბომბდამშენი, რომელმაც დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი ქალაქ კამჩატკის პეტროპავლოვსკის ჩრდილოაღმოსავლეთით დაახლოებით „ლენინგორის“ რაიონში.

კარგი ამინდი, რაც საშუალებას აძლევდა თვითმფრინავის ეკიპაჟს ორივე შემთხვევაში ეწარმოებინა ვიზუალური დაკვირვება დიდ მანძილზე, გამორიცხავს ორიენტირების დაკარგვის შესაძლებლობას და ადასტურებს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ზემოაღნიშნულ ორგზის დარღვევას გარკვეული წინასწარგანზრახული ხასიათი ჰქონდა.

როცა ამერიკის ბომბდამშენს, რომელმაც მეორედ დაარღვია საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრები, მიუახლოვდა ჰაერში ასული ორი საბჭოთა ავიაგამანადგურებელი, საზღვრის დამრღვევმა თვითმფრინავმა სროლა აუტეხა საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს. ერთ-ერთი საბჭოთა თვითმფრინავი იძულებული გახდა თავდაცვის მიზნით საპასუხო სროლა დაეწყო, რის შემდეგაც საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი შეტრიალდა, დაშორდა საბჭოთა ნაპირს და მიიმალა აღმოსავლეთის მიმართულებით.

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამა წლის 18 მარტის ნოტაში განცხადებული პროტესტი საფუძველს მოკლებულია, და ამიტომ საბჭოთა მთავრობა უარყოფს ამ პროტესტს.

იმის გამო, რომ ზემოთმოყვანილი ცნობები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, საბჭოთა მთავრობა შეერთებული შტატების მთავრობას უცხადებს პროტესტს აღნიშნული დარღვევის წინააღმდეგ და მოელის, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს ჯეროვან ღონისძიებებს, რათა კვლავ არ იქნას დაშვებული ამერიკის თვითმფრინავების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევა“.

□○□



მუშათა საცხოვრებელი უბანი დაბა მოლოტოვოში. ფოტო ვ. ზარიძისა.

ეს ადგილები წინათ არ იყო რუკაზე

შუქი ხრამის ხეობიდან

მთების კორწოხებზე აღმართული დიდი ახეები — ინდუსტრიის გუშაგები — აძაყად დასცქერიან ხრამის ხეობაში ქონგურმორღვეულ ციხეებს — გარდასულ დროთა უტყვ ძემატიანეებს.

მაღალმთიანი სწრაფი მდინარის ხმაური თუ აცოცხლებდა წინათ ამ უდაბურ ხეობას, ადამიანის ფეხი იშვიათად მოხვდებოდა აქ, თავშესაქცევად მეთევზეები და მონადირეები ხანგამოშვებით ესტუმრებოდნენ მის უკაცრიელ მიდამოებს. თვით მდინარე ხრამსაც მარტო გემრიელი თევზით — ხრამულითა და კალმახით იცნობდა ხალხი.

ახლა კი შორს არის გავარდნილი სახელი ამ ცელქი მდინარისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ხავსმოდებული ლოდების ლოკვით თვითონაც თითქოს ხავსის ფერი მისცემია. მისი წყალი ამუშავებს საქართველოს სიამაყეს — ხრამის ჰიდროელექტროსადგურს.

დიდი ხნის ისტორია აქვს თრიალეთის ერთ-ერთ კალთაზე შეფენილ პატარა სოფელს მოლოტოვოს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს სმენია მისი არსებობა. ალბათ იგი დიდხანს კიდევ უცნობი იქნებოდა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებისთვისაც, რომ მის მახლობლად მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური არ შექმნილიყო.

ჰესის მშენებლობასთან ერთად დაიწყო პატარა სოფლის დიდი ცხოვრება. მდინარის მარცხნივ გაჩაღდა მისი ახალი უბნის მშენებლობა. გაჩნდნენ ჯერ დაბალი, გრძელი ფიცრული სახლები, შემდეგ ისინი ორ-სამსართულიანმა კაპიტალურმა შენობებმა შეცვალეს.

რამდენადაც ფართოვდებოდა ჰესის სამშენებლო მოედანი, იმდენად იზრდებოდა ახალი უბანიც, სახლს სახლი ემატებოდა, სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდებოდა, ლამაზდებოდა, ქალაქის ეშხსა და იერს იღებდა. მალე მოლოტოვო ქალაქის ტიპის დაბად იქცა.

ჩვენს დიად თვალუწვდენ ქვეყანაში უკანასკნელ დროს წარმოშობილი ქალაქებისა და სამრეწველო დაბების სიას კიდევ ერთი ახალი დაბა შეემატა. საბჭოთა კავშირის რუკაზე რაიონული ცენტრის წალკის გვერდით გამოჩნდა წარწერა — დაბა მოლოტოვო.

თავბრუდამხვევი სიმაღლიდან გადმომსკდარი, ფოლადის მილებში მომწყვდეული მდინარე ხრამი მძლავრ ტურბინებს ამუშავებს. კოლოსალურ ძალად, ენერგიისა და სინათლის დაუშრეტელ წყაროდ აქცია საბჭოთა ადამიანმა მთის ეს მდინარე.

ხრამჰესი საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურია.

...გაკრიალებულ სამანქანო დარბაზში ხმაურით ბრუნავენ მძლავრი ტურბინები, შეუფერხებლად მუშაობენ მექანიზმები, ყველაფერი წესრიგზეა, ადამიანები კი არსად ჩანან.

იმ დღეს სამანქანო დარბაზში თურმე მემანქანე ნიკოლოზ ხმალაძე მორიგეობდა.

— მერე, სად არის, რატომ არა ჩანს?

— შინ არის, ბინიდან მორიგეობს, — თქვა დირექტორმა.

ჩანს, დირექტორი მოელოდა სტუმრის გაოცებას, ამიტომ დაუყოვნებლივ განმარტა: აღარ არის საჭირო, რომ ჩვენს ჰიდროელექტროსადგურში ადამიანები მუდმივად იყვნენ სამუშაო ადგილზე. აპარატები უპერსონალოდ, ავტომატურად მუშაობენ. ამიტომ მორიგე მემანქანე დილას გამოივლის მექანიზმების შესამოწმებლად, შემდეგ წავა და ისვენებს. თუ საჭირო იქნა მისი გამოძახება, ტელეფონით ატყობინებენ. ტელეფონი სადგურის ყველა მუშაკს აქვს ბინაზე. კიდევ ერთხელ, ღამის 10 საათისათვის, შეათვალიერებს ხმალაძე მექანიზმებს და მერე ისევ შინ დაბრუნდება. ასე გრძელდება ხმალაძის მუშაობა დღეღამის განმავლობაში. ასეთი მორიგეები ჰყავთ მილსადენების თავზე, წყალმიმღებზე და საკეტების შენობაში.

სადგური მთლიანად ავტომატიზებულია, მოწესრიგებულია ჰესის სატელევიზიო მართვა ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტიდან — თბილისიდან.

შარშან ხრამჰესში მოსკოვიდან ერთი პატივსაცემი სტუმარი იყო. როდესაც იგი ელექტროსადგურს ეცნობოდა, მექანიზმები შეუფერხებლად მოქმედებდნენ. სამანქანო დარბაზში კი არავინ ჩანდა. აღფრთოვანებული სტუმარი მოუბრუნდა სადგურის დირექტორს და უთხრა:

— კომუნიზმის ნაპერწკალი კიაფობს!

ტექნიკური სრულყოფის შედეგად მინიმუმამდე შემცირდა სადგურის მომსახურე პერსონალი. გაიზარდა მომთხოვნელობა მუშაკების ცოდნისადმი. ხრამჰესელი ენერგეტიკოსები გულმოდგინედ სწავლობენ. საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი: დაბაში არის სრული საშუალო, რვაწლიანი და მუშა ახალგაზრდობის სკოლები. მათ მარტო ეს არ აკმაყოფილებთ და ბევრი მოსკოვისა და თბილისის სასწავლებლებში ეუფლება ცოდნას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. ორი წელია დაამთავრა მუშა ახალგაზრდობის სკოლა ნ. ხმალაძემ; იგი ახლა მოსკოვის ენერგეტიკული ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია.

მშობლიური მზრუნველობით არიან მოსილი ენერგეტიკოსთა ბავშვები. მათ მომსახურებას უწევენ საბავშვო ბაღები და საბავშვო ბაგები. დაბაში არის აგრეთვე ორი საავადმყოფო, ამბულატორიები, ახლო მომავალში მედიცინის მუშაკთა რაოდენობა 35 კაცით გაიზრდება.

... მართვის პულტთან ზის მორიგე ინჟინერი დავით ბარბაქაძე. წამით ინთება და ქრება სინათლის სიგნალები. აქ ყველა სამუშაოს გონებამახვილური აპარატები ასრულებენ. მორიგე მხოლოდ თვალს ადევნებს მათს მუშაობას.

ყოველი მორიგეობის დროს, როცა ბარბაქაძე ამ ვეებერთელა ელექტროფარების მოწყობილობას, სხვადასხვა აპარატებით, ჩამრთველებითა და ამომრთველებით აჭრელებულ მართვის პულტს შესცქერის, ფიქრობს: შორს არ არის ის დრო, როცა ხრამჰესის მსგავსი საწარმოების ფართო ქსელით დაიფარება მთელი ჩვენი ქვეყანა — უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით მივაღწევთ საბჭოთა ადამიანების სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს. წუთით წარმოიდგინა ეს დავითმა, კმაყოფილი წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა. უყვარს დავით ბარბაქაძეს საგენერატორო შენობის სიმაღლიდან მშობლიური უბნისთვის თვალის გადაგლება. აქედან ხელისგულივით მოჩანს მოლოტოვოს დასახლებული უბანი — მდინარის ორივე მოპირკეთებული ნაპირი, რომლებსაც კოხტა ხიდი აკავშირებს. მდინარის ერთ მხარეს მშვილდივით მოხრილი, ლამპიონებით დამშვენებული ქუჩის გაყოლებით ლამაზაენიანი სახლები ჩაუმწკრივებიათ, მეორე მხარეს კი — ადმინისტრაციული შენობები. ცოტა მოშორებით ჩანს ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედანი, ფეხბურთის სტადიონი...

კიდევ უფრო ლამაზი იქნება ეს მიდამო, როცა მთები მწვანე სამოსს მოისხამენ, როცა ასფალტიან ქუჩას ალვისხეთა ჩრდილი დაეფინება.

აი ახლა, თუმცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს, თუმცა ელსადგურის ეზოში დარგულ ატმისა და ვაშლის, ჭერმისა და ალუბლის ნორჩ ნერგებს კვირტები ენასკვებათ, მაინც ცივა ხრამის ხეობაში. ენერგეტიკოსებს არ აშინებთ თრიალეთის ყინვები — ბინებში ცენტრალური გათბობა აქვთ. არც სხვა კომუნალური მომსახურება აკლია პატარა ქალაქს — აბანო, სასტუმრო, კანალიზაცია.

...სატელევიზიო მართვის სქემას მისჩერებია ახალგაზრდა ინჟინერი ვაჟა ფერაძე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული 23 წლის ახალგაზრდა, გამოუცდელი ინჟინერი ვაჟა ფერაძე 1946 წელს ხრამჰესმშენისაკენ გამოეშურა. რამდენ იმედს ამყარებდა იგი აქ წამოსვლით! ხრამჰესმა გაამართლა მისი მოლოდინი.

სიამოვნებით იგონებს ვაჟა დაოსტატების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებს — ჯერ მონტაჟზე მუშაობას, შემდეგ ლაბორატორიაში უფროს ინჟინრად ყოფნას. მეოთხე წელია, რაც ლაბორატორიას განაგებს. აქ გაიზარდა, აქ დავაჟკაცდა მზარდი, ნიჭიერი სპეციალისტი.

წარმატაცი პერსპექტივა იშლება მის წინაშე — ელექტროსადგურის დირექცია მას რეკომენდაციას აძლევს ენერგეტიკულ აკადემიაში შესასვლელად.

— ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, — ამბობს ხრამჰესის დირექტორი ლევან გაჩეჩილაძე და აკადემიისათვის გამზადებულ ფერაძის დახასიათებას დასცქერის, — ვაჟამ იგი დიდი შრომით, საქმის ღრმა სიყვარულით დაიმსახურა.

უკანასკნელ ხანებში ფერაძე უფრო მეტი სიყვარულით შესცქერის სადგურის მოწყობილობას, ადამიანის გონების ამ უმაღლეს მიღწევას, თვითეულ სახლს, თვითეულ ხეს. ეს ადგილი მისთვის, ისევე როგორც დანარჩენი ხრამჰესელებისათვის, მშობლიურად იქცა, ღა განა საკვირველია! ყველაფერი ეს ხომ მის თვალწინ გაკეთდა, მისი მონაწილეობით აიგო. უმძიმს ფერაძეს მომავალი განშორება მშობლიურ მოლოტოვოსთან, ელსადგურთან, კოლექტივთან, რომელსაც ასე შეეზარდა, უმძიმს, მაგრამ რამდენადაც სწუხს ხრამჰესის დროებით მიტოვებას, იმდენად უფრო მეტად იტაცებს გაცისკროვნებული ახალი ფართო პერსპექტივა — მოსკოვი, აკადემია, ცოდნის სრულყოფა, ელსადგურების შემდგომი ავტომატიზაცია...

ბრძენი ბელადის გარდაცვალებით გამოწვეულ დიდ გლოვას თავიანთი ღრმა მწუხარება შეუერთეს მთის პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ხრამჰესელები აღუთქვამდნენ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ შემდგომში კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმებიან პარტიის გარშემო, მოახდენენ მთელი ძალების მობილიზაციას, რათა წარმატებით შეასრულონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური მიზანდასახულობანი.

ელექტროსადგურის წარმატებითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ელექტროენერგიის გამომუშავების შეუფერხებლობა. უკვე სამი წელია ხრამჰესელები უავარიოდ მუშაობენ. ელსადგურის სახელოვანი კოლექტივი კვლავაც გამართულად იმუშავებს, რათა ელექტრონის შუქი და ძალა არ მოაკლოს ჩვენს რესპუბლიკას.

ს. ხარაზიშვილი.

დაბა მოლოტოვო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტალინის სახელით

...როცა რადიომ მოსკოვიდან მოიტანა საარტილერიო ზალპების ხმა, გული ერთხელ კიდევ შეირხა მძიმე ტკივილით. საბჭოთა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელები ღრმა მწუხარებით ეთხოვებოდნენ ყველაზე საყვარელ და ძვირფას მოამაგეს, მშობლიურ სტალინს.

მთელი არსებით განიცდიდნენ ამ მძიმე გლოვას სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

ერთ დროს მიწურებში მყოფი, ღატაკი, ნახევრადმშიერი ერედველი გლეხკაცობა სტალინის მზის ქვეშ ეღირსა ადამიანურ, ბედნიერ ცხოვრებას. უყურვებენ კოლმეურნეები თავისი სოფლის ლამაზ ქუჩებს, ახლადნაგებ სახლებს, ფიქრობენ, როგორ ამაღლდნენ, როგორ გაიზარდნენ, რა კარგად, შეძლებულად, კულტურულად მოაწყეს თავიანთი ცხოვრება... და ეს ფიქრი თავს იყრის ერთი უძვირფასესი სახელის გარშემო:

— სტალინი!

სტალინის სიბრძნემ, სტალინის სიდიადემ დაუმკვიდრა ერედველებს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კოლმეურნეებს, საამური ცხოვრება. სტალინის სახელთან არის დაკავშირებული ამ სოფელში ყოველივე ის, რაც საუკეთესო და ძვირფასია.

სოფლის მინდვრებს მომავალი გაზაფხულიდან უხვად მიაწვდის მაცოცხლებელ წყალს ახლად გაყვანილი ვანათის სარწყავი არხი, რომელიც სტალინის სახელთან არის დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც გამოეთხოვნენ ყველაზე მახლობელ ადამიანს, კოლმეურნეებმა თავი მოიყარეს კოლმეურნეობის შტაბში — კანტორაში, რათა კონკრეტულად მოელაპარაკათ ყოველივე იმაზე, რაც მთელი სოფლის სამგლოვიარო მიტინგზე გამოხატეს. ყველას ღრმად სწამს, რომ საჭიროა ხვალიდანვე გააჩაღონ შემოქმედებითი შრომა დადებული პირობის შესასრულებლად, შრომა სტალინის სახელით, შრომა სტალინის სახელის უკვდავსაყოფად, სადიდებლად!

მეორე დღეს, დილით ადრე ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოცხადდა დავალების მისაღებად. როგორც ყოველთვის, პირველნი მოვიდნენ სოფლის საამაყო ბრიგადირები ნ. და კ. ბერუაშვილები, გ. არჩვაძე. მათთან არის ათობით კოლმეურნე. ისინი მიდიან ახალი მიწის ასათვისებლად. გასული წლის შემოდგომაზე, როცა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ოთხი ჰექტარი ყამირი გატეხეს, ზოგი ფიქრობდა, რომ ახალი მიწების ათვისების მეტი შესაძლებლობა აღარ იქნებოდა. მაგრამ კოლმეურნენი ამით არ დაკმაყოფილდნენ. ისინი კვლავ იმ ადგილებისაკენ გაეშურნენ, სადაც შარშან შემოდგომაზე ტეხდნენ ყამირს.

უნაყოფო ბუჩქნარს და ძეძვნარს, რომელსაც ცუდი რელიეფის გამო მსხვილი სამანქანო ტექნიკა ვერ უდგება, შეუტია კოლმეურნეთა მტკიცე მარჯვენამ. შრომაში მამაცობით ყოველთვის სახელს იხვეჭდნენ იოსებ ცოტნიაშვილი, რამან ბაციკაძე, ბაგრატ ბერუაშვილი... ვაჟკაცთა გვერდით დაძაბულ შრომაში არიან სოფლის მოწინავე ქალები ა. ცოტნიაშვილი, ბ. ხადური, ნ. ბორცვაძე... მთელ სოფელთან ერთად მძიმე სევდა გადაიტანეს ამ დღეებში, მაგრამ სულიერად არ გატეხილან. მათ, როგორც სამშობლოს ყველა პატრიოტებმა, იციან როგორ უნდა სცენ პატივი ბელადის ნათელ ხსოვნას.

თავგამეტებით შრომობენ ბრიგადები ყამირის გატეხაზე. უკვე ჩანს, რა კარგი საქმე გაკეთდა. კიდევ რამდენიმე დღე და 2,5 ჰექტარი ახალი, ასწლობით გამოუყენებელი მიწა ჩადგება სოფლის სამსახურში. აბიბინდება ჯეჯილი ახალ მიწაზე. სტალინს ხომ დედამიწის ლამაზი და შინაარსიანი სიცოცხლე უყვარდა. ერედველები არასოდეს დაივიწყებენ, თუ რა დღეებში ტეხენ ყამირს. დაე, ეს სამახსოვრო ფაქტად დარჩეს სოფლის ცხოვრებაში. დაე, ეს დასაწყისი იყოს დიდი საქმეებისა, რომლებსაც მომავალში ბელადის სახელით განახორციელებენ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები!

ამ გაზაფხულზე ბევრი მეტად პასუხსაგები სამუშაო ელოდება სოფელს. საგაზაფხულო კულტურები 180 ჰექტარზე დაითესება. შემოდგომის ხორბლის ნათესს 512 ჰექტარი უკავია. ხორბლის უხვი მოსავლის ოსტატების წინაშე ახალი სიძლიერით დადგა დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანა — უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით! პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით გავიდნენ წელს მინდვრებში პურის უხვი მოსავლისათვის მებრძოლნი. ისინი კოლმეურნეობის გამოცდილი აგრონომის ტ. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით შეუდგნენ ჯეჯილების დამატებით გამოკვებას. ერედველებმა პირობა დადეს, რომ წელს ხორბლის ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 27 ცენტნერ პურეულს. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში მაგალითს უჩვენებს მემინდვრეობის პირველი ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ი. ჟუჟნიაშვილი ხელმძღვანელობს.

საგაზაფხულო თესვისათვის ყველაფერი მზად არის. კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადების წარმომადგენლები შეხვდნენ მექანიზატორებს, შეიმუშავეს კონკრეტული მარშრუტი, თუ როგორ წარიმართება საქმე მინდვრად მუშაობისათვის ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე.

დიდ მზადებაში არიან კოლმეურნეობის მეჭარხლეები, რომლებმაც 70 ჰექტარ შაქრის ჭარხლის პლანტაციას უნდა მოუარონ და თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 300 ცენტნერის ნაცვლად, ახალი ვალდებულების თანახმად, 400-500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღონ.

მუშაობა გააძლიერეს მევენახეებმა. სხვლის დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ამ საქმის საუკეთესო მცოდნე კოლმეურნეები ვასილ ბაციკაძე, ალექსი ტარიელაშვილი, ლევან ბაციკაძე...

დაიწყო პასუხსაგები პერიოდი მეცხოველეობაში — ნამატის მიღება. „მეძროხეობის ფერმაში უკვე მიღებულია 50 სული ხბო. ნამატი უკლებლივ არის შენარჩუნებული. ფერმაში კარგად მუშაობენ კოლმეურნეები დარო ბერუაშვილი, მართა თუაევა, ქენია საბანოვა.

სამუშაო დღის შემდეგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან. მათთან საუბრებს მართავენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომუნისტი იასონ ქრისტესიაშვილი, სოფლის მასწავლებლები ნინო ბაციკაძე, შ. ბერუაშვილი და სხვ.

ყურადღებით გაეცნენ ერედველები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ამხანაგ ლ. პ. ბერიას და ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვებს, წარმოთქმულს 1953 წლის 9 მარტს წითელ მოედანზე, კაცობრიობის უდიდესი გენიოსის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვისას.

ამ სიტყვებში უბრალო ადამიანები ხედავენ თავიანთი გულისნადების გამოხატულებას. ერედველი კოლმეურნეები, მილიონობით სხვა საბჭოთა ადამიანთან ერთად, ფიცს აძლევენ ჩვენი პარტიის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ გამოიჩენენ სულის სიმტკიცეს, იშრომებენ დაუღალავად, უფრო შემჭიდროვდებიან მშობლიური სტალინის დიადი დროშის გარშემო.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კეთილშობილური მისწრაფება თავის გამოხატულებას პოულობს მათს ყოველდღიურ მამაცურ, გმირულ შრომაში.

ისინი შრომობენ დიდი სტალინის სახელით!

ვ. გელაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წერილები რედაქციისადმი

სად მოვნახოთ წყალსადენის ხელოსანი ან ელექტრომონტიორი?

ბინაში წყალსადენის გაყვანილობა გაფუჭდა, მოიშალა ონკანი, განუწყვეტელი ხმაურით ჩქეფს წყალი სამზარეულოში, მოსვენება აღარა აქვთ მობინადრეებს.

ფუჭი იქნება შეწუხებული მობინადრის მისვლა წყალსადენის ტრესტში ან მის რომელიმე განყოფილებაში. კითხვაზე — სად შეიძლება მოინახოს წყალსადენის შემკეთებელი ხელოსანი, — სანუგეშოს ვერაფერს ეტყვიან.

— ჩვენ პასუხისმგებელი ვართ წყალსადენის ტექნიკური მდგომარეობისათვის მხოლოდ წყალსაზომის მიჯნამდე. ამ მიჯნას იქით რა ბედი ეწევა წყალსადენის გაყვანილობას, ჩვენ არ შეგვეხება. მოძებნეთ, იქნებ სადმე ნახოთ ხელოსანი! — ასეთია წყალსადენის ქსელის მუშაკების გაზეპირებული პასუხი.

ეძებს მობინადრე ხელოსანს. დრო კი გადის, წყალი აზიანებს კედლებს, იატაკს...

ხშირია სხვაგვარი შემთხვევაც: ბინაში გაფუჭდა ელექტროგაყვანილობა, ან დაძველდა ელექტროგაყვანილობა, მას გამოცვლა სჭირდება.

— სად მოვნახოთ ხელოსანი, რომელიც ამ საქმეს მოგვიგვარებს?

ფუჭი იქნება შეწუხებული მობინადრის მისვლა თელასის რომელიმე რაიონულ განყოფილებაში. იქ მას მოკლედ მოუჭრიან: ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ქსელის ტექნიკური მდგომარეობისათვის ელექტრომრიცხველის მიჯნამდე. ამ მიჯნას იქით, თქვენს ბინაში ელექტროგაყვანილობის მდგომარეობა ჩვენ არ გვეკითხება, მონახეთ რომელიმე მონტიორი, იქნებ გაგიკეთოთ!

ეძებს მობინადრე მონტიორს...

თელასში ასეთი საკითხების მოუწესრიგებლობის თაობაზე მშრომელთა მრავალი განცხადება შედის. მაგალითად, ვ. სომხიშვილის (ნავთლუღის დასახლება № 396) განცხადებას თელასში ასე უპასუხეს:

„თქვენი ელექტროგაყვანილობა დეფექტურია. საჭიროა მრიცხველთან დამაგრდეს ბერგმანის მილი, მრიცხველის დაფას გაუკეთდეს ფაიფურის მილაკები, დამაგრდეს გორგოლაჭები და გაიჭიმოს ელექტროშნარი სამონტაჟო ნორმის დაცვით.

შესრულება აცნობეთ თელასს“...

ცხადია, სომხიშვილმა უთელასოდაც კარგად იცოდა, რომ მის ბინაში ელექტროგაყვანილობა დეფექტური იყო. ასეთი სტანდარტული პასუხი ეძლევა მრავალ განმცხადებელს... საქმეს კი გაუჭირდესა არ ეტყობა. მშრომელებს უნდათ წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროგაყვანილობის უმნიშვნელო დაზიანებათა შესაკეთებლად ხელოსანთა დამოუკიდებლად მონახვა, მათთან მორიგება, ზედმეტი ხარჯის გაწევა და ამასთან დაკავშირებული მრავალი უხერხულობის გადატანა.

საჭიროა ამ საქმის შესწავლა, შექმნა წყალსადენის, კანალიზაციის, ბინის შიდა რემონტის, ელექტროგაყვანილობის სარემონტო სამუშაოთა შემსრულებელი კანტორისა, რომელიც მომსახურებას გაუწევს მობინადრეებს. ამას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიაქციოს თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ და საბინაო სამმართველომ.

ა. პატარაია.

მოუწყობელი სადგური

რკინიგზის წინანდლის სადგურის მოუწყობლობის გამო მგზავრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ხშირად ჩივიან, მაგრამ მათ კანონიერ მოთხოვნას ყურადღება არ ექცევა.

სადგური და მისი ტერიტორია ღამით ჩაბნელებულია. მოსაცდელ დარბაზში მგზავრები სიბნელეში არიან, საბილეთო სალაროსთან მისვლა სიბნელის გამო გაძნელებულია. სადგურის უფროსმა გ. ლორიამ რამდენჯერმე მიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას ელექტროსინათლის გაყვანის შესახებ, მაგრამ დღემდე შედეგი არა ჩანს.

სადგურის ტერიტორია დანაგვიანებულია. ლიანდაგებში ნაგვის გორები დგას. ექვსი ძირი ბარადმწვანე მცენარე, რომელიც წინა წლებში დაურგავთ, მოუვლელობის გამო დაზიანებულია. სადგურის ხელმძღვანელობას არც რადიოხაზის გაყვანაზე უზრუნვია.

სადგურში მოსული ტვირთების გატანა დანაშაულებრივად ჭიანურდება.

სადგურის ტერიტორია შემოუკავებელია, პირუტყვი იქ თავისუფლად დადის.

წინანდლის სადგურში სათანადო წესრიგი უნდა დამყარდეს.

ს. ქოჩლაძე.

სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავისათვის დედაქალაქში

დღითიდღე იზრდება და ლამაზდება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი. თბილისის კეთილმოწყობის საქმის გაუმჯობესებასთან ერთად მნიშვნელოვნად წინ მიდის საზოგადოებრივი წესრიგისა და სანიტარული კულტურის დაცვის საქმე, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათი კეთილდღეობის შემდგომი ზრდა.

ამიტომ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის მითითება: „თბილისში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყოველ დიდ ქალაქში, საჭიროა განსაკუთრებით და განუწყვეტლივ ვზრუნავდეთ სისუფთავისა და წესრიგისათვის. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ქალაქში, სადაც ასეულ ათასობით ადამიანი ცხოვრობს, თუნდაც რომელიმე კუნჭულში ანტისანიტარია იყოს. ამას არ შეიძლება შევეგუროდეთ“.

ამ საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესასრულებლად უკანასკნელ ხანს პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და მილიციის ორგანოებმა მოსახლეობის გაზრდილ აქტივობაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს.

სხვა ღონისძიებებთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოძრაობის უშიშროების წესების, საზოგადოებრივი წესრიგის და სისუფთავის დაცვისათვის ყოველდღე კომკავშირელთა და პიონერთა 30 ბრიგადა მუშაობს.

სანიტარული კულტურის წესების მტკიცედ დაცვა თვითეული საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის გადაუდებელი ამოცანაა. სამწუხაროდ, ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება სისუფთავის დაცვის დიდმნიშვნელოვან საქმეს. უსუფთაობისათვის დაჯარიმებულ იქნენ რესტორანი „ისანის“ დირექტორი კ. მახარაძე, თბილვაჭრობის № 8 მაღაზიის დირექტორი ი. კახელი, კულტურისა და აღზრდის სახლის დირექტორი გ. კირთაძე, თბილკვებვაჭრობის მარცხენა ნაპირის სამმართველოს საწყობის გამგე გ. გოლიაძე და სხვ.

საზოგადოებრივი წესრიგის სანიმუშო დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ ხულიგნობა ჩვენდამი მტრული ელემენტების გამოხდომაა. ამიტომ ხულიგნობის, ძველის ამ საზიზღარი ნაშთის, წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლას უნდა გაწარმოვდეთ.

მართალია, მოსახლეობის აქტიური დახმარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე, შემცირდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები, მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით ხულიგნობის ცალკეულ ფაქტებს.

ამას წინათ კალინინის ქუჩაზე ერთ-ერთ საუზმეში შეიდა მთვრალი სტუდენტი გ. კიკნაძე, დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, ატეხა დებოში. როდესაც მას წესიერებისაკენ მოუწოდეს, ხულიგანმა დამსწრეთ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

არტელ „შეკავშირების“ თანამშრომელმა ვ. გოგოშელიძემ (მახარაძის ქუჩა № 12) ქუჩაში მოქალაქე ა. ასლამაზოვი ფიზიკურად შეურაცხყო. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და ხულიგნობა ჩაიდინა ს. გეურქოვმა, რომელიც არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში არ ეწეოდა.

რუსთაველის პროსპექტზე სანიმუშო რესტორან „თბილისში“ არტელ „ინსინათლის“ თანამშრომელმა მ. ავეტისოვმა, პურის გამყიდველმა გ. სააკიანმა და გაურკვეველი საქმიანობის პირმა კ. სააკიანმა ატეხეს აურზაური, ჩხუბი. თავაწყვეტილი ხულიგნები პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში შემჩნეული არიან სტუდენტები კომკავშირელები ც. მიქაძე, თ. ჯაფარიძე, ნ. კობიაშვილი, ა. ჩაჩანიძე, ჯ. აფხაიძე და სხვ. პარტიის წევრებმა ა. ქოქინაძემ, გ. გრიგორიევმა და კ. გაბიანმა სიმთვრალის შედეგად სასაუზმეში გამართეს ჩხუბი, რომელსაც არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია სისტემატურად არ ზრუნავს ქალაქში მტკიცე წესრიგის განმტკიცებისათვის.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დედაქალაქის ზოგიერთ რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა მეეზოვეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, არ ხდება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება, ნაკლებად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავისათვის ბრძოლაში მილიციის ორგანოების ზოგიერთი მუშაკი მაგალითის მიმცემი არ არის; პირიქით, ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება. თბილისის მილიციის მე-20 განყოფილების უფროსის მოადგილე შ. ზერაგია თითქმის ყოველდღე დადის ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში (საბურთალო), მაგრამ რატომღაც ვერ ამჩნევს ბაზარში გამეფებულ უსუფთაობას, უწესრიგობას. ანალოგიური მდგომარეობაა სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც სავაჭრო წესებს არღვევენ და ამის შედეგად უსუფთაობაა. მილიციის მე-5 განყოფილების უფროსი ი. მოდებაძე კი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მილიციის მე-9 განყოფილების უბნის რწმენებული ს. მიქელიშვილი სუსტად მუშაობს ქუჩებსა და ეზოებში სისუფთავის დასაცავად. ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

წესრიგისა და სანიტარული კულტურის დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ, უსმობლად უნდა ვებრძოლოთ ამ საქმეში კამპანიურობასა და იერიშობანას.

დედაქალაქის კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და მილიციის ორგანოებმა, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით, მოსახლეობის გაზრდილ აქტივობაზე დაყრდნობით ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ თბილისი უახლოეს მომავალში წესრიგისა და სანიტარული კულტურის მხრივ სანიმუშო ქალაქად გადავაქციოთ.

გ. ბოლიძე,

ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილება „კომუნისტის“ 13 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილთან — „უწესრიგობა ნავთლუღის კვანძზე“ — დაკავშირებით გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

პოლიტგანყოფილებამ რკინიგზის ნავთლუღის საკვანძო პარტიულ კომიტეტთან ერთად შეიმუშავა ღონისძიება კვანძის ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მატარებელთა უსაშიშრო მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

* * *

„კომუნისტის“ 1953 წლის 10 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია — „სამარცხვინო ჩამორჩენა და უდარდელი ხელმძღვანელები“. კორესპონდენცია შეეხებოდა სერიოზულ ნაკლოვანებებს წითელწყაროს რაიონული სამრეწველო კომბინატის მუშაობაში და კომბინატის დირექტორის ამხ. ს. მანგოშვილის უდარდელობას.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ციხისთავი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა წითელწყაროს რაიონული სამრეწველო კომბინატის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კომბინატის დირექტორს ამხ. ს. მანგოშვილს მიეცა გაფრთხილება.

* * *

„ერთი „მოგზაურობის“ ისტორია“, — ამ სათაურით „კომუნისტის“ 1953 წლის 11 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა სხარტელა, რომელშიც მხილებული იყო ავტორგაბამულობის თბილისის განყოფილების მუშაკთა უპასუხისმგებლო მუშაობა.

კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის მოადგილე ამხ. ნ. ჯაფახიშვილი გვატყობინებს, რომ სხარტელაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

დამხარისხებელი განყოფილების ბრიგადირს მ. ციცუაშვილს დაუდევრობისათვის გამოეცხადა საყვედური, ხოლო დამხარისხებლებს მ. აბაშიძეს და გ. ჩადუნელს მიეცათ შენიშვნა.

დახარისხების საამქროს უფროსს ა. ბეგოიძეს წინადადება მიეცა უზრუნველყოს კორესპონდენტების დანინაულებისამებრ დროულად გადაგზავნა.

„კომუნისტის“ სიგნალი

ოსი მწერლების ანთოლოგია

საბჭოთა ეპოქაში აყვავდა და გაიფურჩქნა სამხრეთ ოსეთი — ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. გაიზარდა და დამშვენდა ოლქის ცენტრი — ყოფილი დაბა ცხინვალი, რომელსაც ახლა ბელადის პატივსაცემად სტალინირი ეწოდება.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა წარმატებებს მიაღწიეს კულტურის ყველა დარგში. ოსები, რომლებსაც რევოლუციამდე დამწერლობაც არ გააჩნდათ, ამჟამად ამაყობენ მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატებით.

ახლახან სახელგამმა ქართულ ენაზე გამოსცა სამხრეთ ოსეთში მომუშავე პოეტების ნაწარმოებთა ანთოლოგია. ეს წიგნი ლაპარაკობს ნაყოფიერ მუშაობაზე, რასაც მოწინავე ოსი პოეტები ეწევიან.

მრავალმხრივ საინტერესოა უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი პოეტისა და დრამატურგის მუხტარ შავლოხოვის შემოქმედება. მ. შავლოხოვს დიდი პოპულარობა და სიყვარული მოუპოვეს მისმა დრამატიულმა ნაწარმოებებმა („ბეგა“, „ალაპარაკდნენ მთები“, „ხანძერიფა“), ღრმად პატრიოტულმა ლექსებმა და პოემებმა. მ. შავლოხოვის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან ოს მკითხველებს გააცნო ქართველი ხალხის სიამაყე — „ვეფხისტყაოსანი“.

მ. შავლოხოვის ლექსები, რომლებიც მოთავსებულია ანთოლოგიაში, მკითხველს იზიდავენ პოეტური უშუალობითა და გულწრფელობით. საბჭოთა ადამიანების აზრსა და გულისთქმას გამოხატავს პოეტი დიდი ბელადისადმი მიძღვნილ თავის ლექსში.

ლექსში „ლავრენტი ბერიას“ გადმოცემულია მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარულის გრძნობა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლისადმი — ლ. პ. ბერიასადმი.

მშვენიერი ლირიკული ლექსია „მთვარიანი ღამე“.

სამწუხაროდ, მ. შავლოხოვის შემოქმედება ძნელწად არის წარმოდგენილი ანთოლოგიაში. კარგი იქნებოდა, მაგალითად, მასში შესულიყო ვრცელი ლექსი „საქართველო“, პოემა „მოხუცი მათე“ და სხვ. უნდა ითქვას, რომ მ. შავლოხოვის ნაწარმოებთაგან ქართულ ენაზე ჯერ კიდევ ცოტაა თარგმნილი. ქართველი მწერლები უკვე შეუდგნენ მუშაობას, რათა მკითხველს მიაწოდონ მ. შავლოხოვის რჩეული ნაწერების თარგმანები.

იზრდება და ვაჟკაცდება ნიჭიერი პოეტი რევაზ ასაევი. ახლის გრძნობა და შემოქმედებითი გამბედაობა — აი რა არის დამახასიათებელი ამ პოეტისათვის. ანთოლოგიაში ჩვენ ვეცნობით რ. ასაევის საუკეთესო ლექსებს: „მოსკოვი, კრემლი“, „ნაძვები წითელ მოედანზე“, „მოხუცის ოცნება“, „საქართველოს ცისქვეშ ვმღერი“...

პოეტი გაფეზი გვხიბლავს ლექსის თავისებური, ორიგინალური გააზრებით. ამაღელვებელია ლექსი, სადაც აღწერილია დიდი სტალინის ბავშვობის წლები: ბნელი, ქარიანი ღამეა, ჭრაქი ანათებს ქოხში, ისმის იავნანას ხმა, დედა არწევს ბიჭუნას აკვანს. ამ დროს:

მამაც მოვიდა, და ერთი წამით
ზეაიტაცა ბიჭუნა ხელით,
და, რა იცოდა იმ წამში მამამ,
რომ ხელში ეპყრა მსოფლიოს მხსნელი!

სამხრეთ ოსეთის მოწინავე პოეტი კაკაბაგი ცნობილია, როგორც პოლიტიკური ლირიკის ოსტატი. მის შემოქმედებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევიან ლექსები „სიმღერა ბელადზე“, „ჩემს ხალხს“, „სიმღერა საქართველოზე“, „მოსკოვი“.

ახალგაზრდა პოეტი კოსტა მარგიევი, რომელიც ბევრი კარგი ლექსის ავტორია, ძმური სიყვარულით ესაუბრება სახელოვან ზანგ მომღერალს, მშვიდობისათვის მტკიცე მებრძოლს — პოლ რობსონს:

შენ არ ყოფილხარ ჩემს სამშობლოში,
შენ ჩვენი მთები ჯერ არ გინახავს,
მაგრამ ოსეთის ყველა სოფელში
დიდმა, პატარამ იცის ვინა ხარ!

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ილია ფლიევის ლექსები: „საყვარელ მამას“, „ლბინის საღამო“ და „ველარ მიცნობს“?

შემთხვევითი არ არის, რომ ანთოლოგიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალგაზრდა პოეტის ივანე ცხოვრებოვის შემოქმედებას. ი. ცხოვრებოვი დაუცხრომლად იბრძვის თავისი ლიტერატურული ოსტატობის ამაღლებისათვის. ეს მკაფიოდ ჩანს მის ლექსში „კომუნიზმის საათი“. შესანიშნავად არის ნათქვამი: „ჩვენ კრემლის საათზე ვასწორებთ საათებს, რადგან ის ლენინის აზრივით სწორია“, ან კიდევ: „სტალინის გულივით მართალი საათი გვამცნობს, კომუნიზმი როგორ ახლოვდება“.

წლების განმავლობაში ლოგინზეა მიჯაჭვული მწერალი დავით ჯიოევი. პატრიოტი და ოპტიმისტი მწერალი ვაჟკაცურად უმკლავდება მძიმე ავადმყოფობას და აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. მკითხველთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს მისმა რომანებმა „ილიკომ“ და „ბოლშევიკურმა ძალამ“. ნათელი, ხალისიანი პოეტური ფერებით არის დაწერილი დ. ჯიოევის ლექსებიც.

ანთოლოგიაში მოთავსებულია აგრეთვე პოეტ ვასო ბეგიზოვის ორი ლექსი.

მთარგმნელთა შორის არიან როგორც ქართული პოეზიის გამოჩენილი ოსტატები, ისე ახალგაზრდა პოეტები. მათ სიყვარულითა და მონდომებით უთარგმნიათ ოსი პოეტების ლექსები.

ანთოლოგიის ავტორებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ბოლომდე ვერ დაუღწევიათ თავი დეკლარაციულობისათვის, რიტორიკისათვის, ერთფეროვნებისათვის. ისინი არაიშვიათად ხმარობენ ძველ, გაცვეთილ პოეტურ აქსესუარებს, რომლებითაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩვენი გმირული დღეგანდელობის დახატვა.

ყურადღებას იქცევს, როგორც უარყოფითი მოვლენა, ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთის პოეტების ნაწარმოებთა ანთოლოგიაში არ არის არცერთი პოემა.

სამხრეთ ოსეთში მომუშავე პოეტებმა უნდა შექმნან ფართო ეპიური ნაწარმოებები, სადაც საბჭოთა ადამიანების შრომა და ცხოვრება მთელი სისრულით იქნება ასახული.

ხ. ბერულავა.

წიგნი სახელოვან მსახიობზე

საქართველოს სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის სასცენო მოღვაწეობა მხოლოდ ათიოდე წლის მანძილზე გრძელდებოდა. იშვიათად იქნება მსახიობი, რომელიც ასე მოკლე ხანში სცენიდან წასულიყოს ისეთი სახეთა და დიდებით, როგორიც ქართული სცენის ამ შესანიშნავ ოსტატს ხვდა წილად.

ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ გამოცემულმა ანდრო თევზაძის წიგნმა „უშანგი ჩხეიძე“ (მონოგრაფია).

წიგნში ავტორს კარგად აქვს გაშუქებული უშანგი ჩხეიძის პირველი ნაბიჯები სასცენო მოღვაწეობის ასპარეზზე.

უ. ჩხეიძეს ბავშვობიდანვე უყვარდა სცენა. თავის თანატოლ ამხანაგებთან ერთად ის ხშირად მართავდა საბავშვო წარმოდგენებს. ბავშვობის წლებში უ. ჩხეიძის მომავალზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ჭიათურის თეატრში მომუშავე ცნობილმა მსახიობმა ვ. შალიკაშვილმა. სცენაზე მისი ნახვის შემდეგ უ. ჩხეიძეს განუმტკიცდა სიყვარული და პატივისცემა მსახიობის პროფესიისადმი. ეს სიყვარული უ. ჩხეიძეს უნივერსიტეტის კედლებშიც გაჰყვა. იგი უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან ერთად პარალელურად სწავლას იწყებს ალექსანდრე ჯაბადარის თეატრალურ სტუდიაში. შემდეგ მას ავჭალის აუდიტორიასა და ავლაბრის თეატრის სცენაზე ვხვდებით.

ამ პერიოდში უ. ჩხეიძე მხოლოდ სცენისმოყვარე იყო და მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა, მაგრამ მის მიერ შესრულებულ ამ უბრალო როლებშიც უჩვეულო სითბო და დიდი არტისტული ძალა იგრძნობოდა. ამას მიაქციეს ყურადღება და ახალგაზრდა მსახიობს წამყვანი როლების შესრულება დაკისრეს.

სწორედ ამ ხანებში ქართულ სცენას მოვლინა რუსული თეატრის მოწინავე ტრადიციებზე აღზრდილი გამოჩენილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. ახალგაზრდა უშანგიმ უმალვე მიიპყრო კ. მარჯანიშვილის ყურადღება. სახელოვანმა ქართველმა რეჟისორმა მასში მსახიობის უტყუარი ნიჭი და გაქანება დაინახა.

ავტორმა წიგნში ცალკე თავი მიუძღვნა უშანგი ჩხეიძის დებიუტს შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტში“. მსახიობი ამ ტრაგედიაში ჰამლეტის როლს ასრულებდა და თავისი თამაშით მაყურებელი მოხიბლა. დაუღალავი და დაკვირვებული მუშაობის შედეგად მსახიობმა ჰამლეტის როლში გამარჯვებას მიაღწია.

ამის შემდეგ უშანგი ჩხეიძე ახორციელებს გერმანელი კომუნისტი მწერლის

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები იონჩხონის დასავლეთით და კორანფხორის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების ნაწილებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი.

აგრესორები კორეაში შხამიან გაზებს იყენებენ

ფხენიანი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამერიკელი აგრესორები კვლავ იყენებენ კორეაში ქიმიურ იარაღს. 18 მარტს კანგორნის პროვინციის ფხენანის მაზრის რაიონში მათ ჩამოყარეს შხამიანი გაზით გატენილი ბომბები, რის შედეგადაც დაშავდა გზების აღდგენაზე მომუშავე 50-ზე მეტი მცხოვრები. მეტმა წილმა დაშავებულებმა მხედველობა დაკარგეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა აღშფოთებულია აგრესორთა ახალი ბოროტმოქმედებით.

ბრძოლდება სამხედრო ტყვეთა მოკვლა

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 19 მარტს კუნძულ კოჯედზე ბანაკის მცველებმა მოკლეს ჩრდილოეთკორეელი სამხედრო ტყვე.

18 მარტს ამავე კუნძულზე ბანაკის მცველებმა დაჭრეს ორი ჩრდილოეთკორეელი სამხედრო ტყვე.

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც ჩანს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ სეულიდან გამოგზავნილი ცნობიდან, ბანაკების ამერიკელმა ხელისუფლებამ დღეს განაცხადეს, რომ „21 მარტს მოკავშირეთა ჯარების ოფიცერმა ტყვეთან მოკლა ჩრდილოეთკორეელი სამხედრო ტყვე კუნძულ იონჩხოდოზე“.

საგაფიცვო მოძრაობა იტალიაში

რომი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, კარბონიას (კალიარის პროვინცია) ქვანახშირის აუზის მეშახტეები 21 მარტს მთელი დღე გაფიცული იყვნენ კომუნისტი მერის პიეტრო კოკოს გადაყენების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც ამ პოსტიდან მოხსნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით. კომუნალურ საწარმოთა მოსამსახურეები შეუერთდნენ გაფიცულ მეშახტეებს.

ფრანგი მშრომელები იბრძვიან დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისიის მოწოდებით გუშინ საფრანგეთში მოეწყო ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ და დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული დღე. ყველგან გაიმართა მიტინგები, დემონსტრაციები და წინააღმდეგობის მოძრაობის იმ მონაწილეთა საფლავების გვირგვინები შემკობის ცერემონიები, რომლებიც გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა დახოცეს.

მიღებულ რეზოლუციებში დედაქალაქის მცხოვრებლებმა გადაჭრით გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ დამტკიცდეს ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შესახებ, რომლის აბრეშუმაც ნიღბავენ გერმანიის აგრესიული ვერმახტის აღორძინებას. ამასთან ერთად რეზოლუციებში გამოხატულია ფრანგი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა — შეწყდეს დანაშაულებრივი ომები კორეასა და ვიეტნამში, დაიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის და აღდგენილ იქნას საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობა.

პარიზის მე-6 და მე-19 ოლქებში, ისევე როგორც საფრანგეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში, მიტინგების მონაწილეებს თავს ესხმოდნენ პოლიცია და ეგრეთწოდებული „რესპუბლიკური უშიშროების რაზმები“.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, დიდი წარმატებით ჩაიარა დემონსტრაციებმა და მიტინგებმა ნიცაში („ზღვისპირა ალპების დეპარტამენტი), ნანტში (ქვემო ლუარის დეპარტამენტი), ბეზანსონში (დუს დეპარტამენტი) და საფრანგეთის სხვა ქალაქებში 2 ათასზე მეტი კაცი ჩამოვიდა ლუარის, რონის, იზერის, ენის, აგრეთვე სონისა და ლუარის დეპარტამენტებიდან დასახლებულ პუნქტ მონშალში (ლუარის დეპარტამენტი), რათა პატივი ეცათ ჰიტლერელი ჯალათებისა და ფრანგი კოლაბორაციონისტების მიერ სიკვდილით დასჯილი პატრიოტების ხსოვნისათვის. შეკრებილებმა ფიცი დადეს მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ ხელი შეუშალონ ეროვნული კრების მიერ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას და მიაღწიონ სამხედრო დამნაშავეთა სასტიკ დასჯას.

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის განცხადება

კაირო, 23 მარტი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ნაგიბმა, რომელიც ზემო ეგვიპტეში მოგზაურობს, მიტინგებზე ასუანში, კომ-ომბოსა და ისნში კვლავ განაცხადა, რომ ეგვიპტე მოითხოვს სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების უთუო ევაკუაციას.

ისნში ნაგიბმა განაცხადა: „ჩვენ გვსურს უთუო ევაკუაცია და, თუ საჭირო გახდა, ძალას ვიხმართ“. ასუანსა და კომ-ომბოში მიტინგზე გენერალმა ნაგიბმა შესძახა: „ევაკუაცია ან სიკვდილი!“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტი 19 მარტის სხდომაზე განაგრძობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოხსენების განხილვას.

სხდომაზე გამოსულმა ინგლისის, პოლანდიის, ახალი ზელანდიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ ვერ შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა. მაგრამ ისინი, როგორც ამერიკის დელეგატი გროსიც, ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, რომ კომისიის წარმატებით მუშაობას ხელს უშლიდნენ თითქოს არა ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი, არამედ საბჭოთა კავშირი. ისინი ცდილობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში შეტანილი წინადადებანი შეიარაღების თაობაზე ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ შესახებ როგორც „კონსტრუქციული“ წინადადებანი, ხოლო საბჭოთა წინადადებანი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, როგორც თითქოს „არაკონსტრუქციული“ წინადადებანი.

გამოთქვამდნენ რა აზრს იმის სასარგებლოდ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ საქმიანობა განაგრძოს, აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლები ამასთან განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ კომისიამ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატების მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც კვლავ პირველ ადგილზეა შეიარაღების შესახებ ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ საკითხი და არა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლა პოლიტიკური კომიტეტის 18 მარტის სხდომაზე და ინგლისის დელეგატისა 19 მარტის სხდომაზე იმას მოწმობენ, რომ, როგორც განიარაღების კომისიაში, ისინი კვლავ უშლიან ხელს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილ შემცირებას და ატომური იარაღის აკრძალვას.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ა. ზორინი, რომელმაც დაწვრილებით ჩამოაყალიბა საბჭოთა დელეგაციის პოზიცია განსახილველ საკითხში.

ზორინმა თავისი სიტყვის დასაწყისში გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გროსის მიერ პოლიტიკურ კომიტეტში 18 მარტს წარმოთქმული სიტყვა. გროსი თავის ამ სიტყვაში ცდილობდა საქმე ისე დაესახა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თითქოს ემხრობა შეიარაღების შემცირებას და განიარაღებასაც კი და რომ თითქოს საბჭოთა კავშირის პოზიცია ხელს უშლის შეიარაღების შემცირებას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი გენერალური ასამბლეის ყველა სესიაზე განუხრელად მოითხოვს შეიარაღების შემცირებას, ატომური იარაღის აკრძალვას, ამ აკრძალვის განხორციელებისადმი ზუსტი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ყველა იმ წინადადების მიზანი, რომლებიც მას შეაქონდა გენერალური ასამბლეის სესიებზე, უშიშროების საბჭოში, განიარაღების კომისიასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში, იყო სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა. ეს გასაგებიც არის, რადგან მშვიდობის დაცვა, ბრძოლა ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ იყო და არის საბჭოთა მთავრობის მთავარი საზრუნავი.

ამასთან ზორინმა კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა თავის სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამა წლის 15 მარტს თქვა, რომ „სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, შეუძლიათ, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიც, დარწმუნებული იყვნენ საბჭოთა კავშირის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკაში“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადება, გაანგრძო ზორინმა, გამოხატავს საბჭოთა ხალხის მისწრაფებას — შეინარჩუნოს მშვიდობა და არ დაუშვას ომი. ამას ესწრაფვის მსოფლიოს ყველა ხალხი. ამერიკელი ხალხი, თავისთავად იგულისხმება, გამონაკლისი არ არის. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკას, როგორც გროსის განცხადებიდან გამომდინარეობს, გამალებული შეიარაღება და ეგრეთწოდებული „ძალის სიტუაციის“ შექმნა კვლავაც განსაზღვრავს ამ პოლიტიკას. მაგრამ ასეთი პოლიტიკა არასგზით არ ეგუება განიარაღების ამოცანას და აშკარად ეწინააღმდეგება თვით გროსის განცხადებას, რომ განიარაღება საუკეთესო გარანტიაა აგრესიის წინააღმდეგ. უპასუხა რა გროსის კითხვაზე, „კონსტრუქციულად“ ითანამშრომლებს თუ არა სსრ კავშირი განიარაღების საქმეშიო, სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოგონილია, რადგან ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობას კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია შეიარაღების ნამდვილი შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა, ყოველ წელს შემოაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი ყველა მთავრობის განსახილველად. აგრეთვე კარგად არის ცნობილი, აღნიშნა ზორინმა, რომ ამ წინადადებებს განიხილავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ან, ამერიკის წარმომადგენლის ტერმინოლოგიით, ამ ფორუმზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ფორუმზე საბჭოთა კავშირის აღნიშნული წინადადებანი აწყდებიან წინააღმდეგობას პირველ რიგში შეერთებული შტატების მხრივ. მაგრამ საბჭოთა კავშირი კვლავაც იმოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანოებში, მათ შორის განიარაღების კომისიაში, მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, იმისათვის, რომ გადაიჭრას შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის, აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის მნიშვნელოვანი ამოცანა.

ამის შემდეგ ზორინმა ანალიზი გაუკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობას და ცხადყო, რომ სამი სახელმწიფო (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი) და უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები წარმოადგენენ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების, ატომური იარაღის უთუო აკრძალვის, აგრეთვე ამ აკრძალვის განხორციელებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების საქმის ჩაშლის მთავარ დამნაშავეებს. გაკრიტიკა რა განიარაღების კომისიაში ამ სახელმწიფოთა მიერ დაკავებული პოზიცია, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„გენერალური ასამბლეა, რომელმაც განიხილა განიარაღების კომისიის მოხსენება,

აღნიშნავს, რომ თუმცა ხსენებულ კომისიას განიარაღების კომისია ეწოდება, მაგრამ ნამდვილად განვლილ პერიოდში მის მუშაობას მიზნად არ ჰქონია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა მომზადება, ატომური იარაღის და მასობრივი მოსპობის სხვა იმ საშუალებათა აკრძალვა, რომლებსაც გმობს ყველა ხალხი, და რომ ნამდვილად ეს კომისია დღემდე აფერხებდა განიარაღების საკითხების განხილვას.

აღნიშნავს, რომ განიარაღების კომისიამ, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლთა სახით, არაერთხელ სცადა შეეცვალა განიარაღების შემცირების საკითხი ცალკე სახელმწიფოთა შეიარაღების შესახებ დაზვერვის ცნობების უკანონოდ მიღების საკითხით, ამასთან აღგარიშს არ უწევდა იმას, რომ შეიარაღების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყველა სახელმწიფო მოვალეა წარადგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სრული ცნობები თავისი შეიარაღების შესახებ.

იღებს რა მხედველობაში, რომ გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიიან განიარაღების კომისიის განსახილველად გადასცა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და რომ კომისიას დღემდე არ განუხილავს ეს წინადადებანი,

გენერალური ასამბლეა ადგენს:

1. დაევალოს განიარაღების კომისიას დაუყოვნებლივ შეუდგეს შეიარაღების შემცირების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვას, ამასთან მხედველობაში მიიღოს პირველ რიგში დიდი სახელმწიფოები — ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის შეიარაღების შემცირება, აგრეთვე შეუდგეს ატომური იარაღის, ბაქტერიოლოგიური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის უთუო აკრძალვის და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხის გადაწყვეტას.

2. დაევალოს განიარაღების კომისიას წარუდგინოს უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ არაუგვიანეს 1953 წლის 1 ივლისისა“.

დასასრულ ზორინმა რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირის ეს წინადადება სავსებით შეეფერება ხალხთა სამართლიან სურვილს, რომელიც გულწრფელად ისწრაფვიან, რომ შეწყდეს ომი კორეაში, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, სავსებით მოისპოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე.

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელი დილისა და დღის სხდომებზე გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოხსენების განხილვა.

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოხსენებისა და ამ მოხსენების გამო რეზოლუციათა პროექტების განხილვა.

აღნიშნა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შედეგები, ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღების პრობლემის განხილვა ნაკლებეფექტიანი იქნება .მანამდე, სანამ გენერალურ ასამბლეასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ორგანოში თავიანთ ადგილს არ დაიკავებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლები. მათს მონაწილეობას განიარაღებისათვის მუშაობაში, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის ყველა ღონისძიებაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის მოსპობას.

ინდოეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია მხარს დაუჭერს ყველა წინადადებას, რომლის მიზანია შეიარაღების შემცირება და ატომური, ბაქტერიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით-აღნიშნა, რომ, როგორც განიარაღების კომისიის მოხსენების გამო გამართული დისკუსია ცხადყოფს, ამ დისკუსიის მონაწილეთა უმეტესობა დაეთანხმა იმ აზრს, რომ კომისიამ არ შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანები.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სურს ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობის შენარჩუნება და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება, მან უნდა მიიღოს ყველა ღონისძიება გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად და მიაღწიოს იმას, რომ ნამდვილად შემცირდეს შეიარაღება და აიკრძალოს ატომური იარაღი, რომელიც აგრესიის იარაღია.

ვ. ზორინმა მოაგონა დამსწრეთ, რომ საბჭოთა დელეგაციას არაერთგზის განუცხადებია:

ჯერ-ერთი, რომ საბჭოთა მთავრობა იმის მომხრეა, რომ წარდგენილ იქნას ყველა ცნობა მთელი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ, მათ შორის ცნობები ატომური იარაღისა და სხვის ტერიტორიებზე არსებული სამხედრო ბაზების შესახებ, როგორც კი მიღებულ იქნება გადაწყვეტილება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

მეორე, საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ დაწესდეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლი და ინსპექცია მუდმივ საფუძველზე. გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის აზრი საერთაშორისო კონტროლის შესახებ, რომელიც მოიყვანა ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა, სავსებით გარკვეულად მოწმობს, თუ რა პოზიცია უჭავია საბჭოთა კავშირს ამ საკითხში, და ამ განცხადებას კომენტარები არ ესაჭიროება.

მესამე, საერთაშორისო ინსპექციის უფლებები საკმაოდ დაწვრილებით იყო გაშუქებული საბჭოთა დელეგაციის პირველ გამოსვლაში განიარაღების კომისიის მოხსენების გამო, და საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ აღარ მიაჩნია ახლა გაიმეოროს ეს დაწვრილებითი გაშუქება.

მოიყვანა რა შინაარსი საბჭოთა რეზოლუციისა, რომელიც პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად წარდგენილ იქნა 19 მარტს, ვ. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებები მარტივი წინადადებებია და მათი მიზანია მთავარი ამოცანების გადაწყვეტა განიარაღების დარგში.

საბჭოთა დელეგაციას, განაცხადა ვ. ზორინმა, საჭიროდ მიაჩნია კვლავ მოუწოდოს პირველ კომიტეტს მხარი დაუჭიროს ამ რეზოლუციას და საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი ვერ დაეთანხმება იმ რეზოლუციას, რომელიც წარმოადგინეს სხვა სახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რამდენადაც ეს რეზოლუცია იწონებს განიარაღების კომისიის უნაყოფო მუშაობას და ადასტურებს გენერალური ასამბლეის წინა რეზოლუციას, რომელსაც საბჭოთა დელეგაცია ვერ დეთანხმა და არც ამჟამად ეთანხმება.

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი გროსი და ზოგიერთი სხვა დელეგატი გამოვიდნენ კენჭისყრის მოტივებით, კენჭი უყარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოხსენების გამო რეზოლუციათა პროექტებს.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტს კენჭი უყარეს ამ პროექტის ცალკეული პარაგრაფების მიხედვით. სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტის პარაგრაფს, რომელშიც ნათქვამია, რომ გენერალური ასამბლეა „ადგენს დაევალოს განიარაღების კომისიას დაუყოვნებლივ შეუდგეს შეიარაღების შემცირების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვას, ამასთან მხედველობაში მიიღოს პირველ რიგში დიდი სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის შეიარაღების შემცირება, აგრეთვე შეუდგეს ატომური იარაღის, ბაქტერიოლოგიური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის უთუო აკრძალვის და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხის გადაწყვეტას“ ხმა მისცა 14 დელეგაციამ (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, სირია, საუდის არაბეთი, ავღანეთი, იემენი, ერაყი, ეგვიპტე). 6 ქვეყნის დელეგაციებმა თავი შეიკავეს (ბირმა, ბოლივია, ჩილი, არგენტინა, მექსიკა და ეთიოპია). 40 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი არ იქნა მოწონებული, რადგან მან ვერ მოაგროვა ხმის უმრავლესობა. მთლიანად ამ პროექტს ხმა მისცეს სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის დელეგაციებმა. ამ კენჭისყრაში თავი შეიკავეს 13 ქვეყნის დელეგაციებმა.

ხმის უმრავლესობით პოლიტიკურმა კომიტეტმა მოიწონა რეზოლუციის პროექტი, შეტანილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და 13 სხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული რეზოლუციის პროექტი განიარაღების კომისიას რჩევას აძლევს განაგრძოს მუშაობა და თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდოს პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინადადებებში. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. ინდოეთის, ბირმის, საუდის არაბეთის, ინდონეზიისა და არგენტინის დელეგაციებმა თავი შეიკავეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის ყველა ფრაქციის ერთობლივი მიმართვა

ბერლინი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის ფრაქციებმა მიიღეს ერთობლივი მიმართვა გერმანელი ხალხისადმი.

ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციით, ნათქვამია მიმართვაში, ჩვენი ხალხისათვის შეიქმნა განსაკუთრებით საშიში და მძიმე მდგომარეობა. ბონის ბუნდესტაგის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებანი აძლიერებენ გერმანიის გათიშვას. ისინი წარმოადგენენ დანაშაულს გერმანელი ხალხის მშვიდობიანი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, ევროპაში მშვიდობის უაღრესად სერიოზულ ხელყოფას.

ადენაუერის მთავრობისა და მისი მორჩილი ბონის ბუნდესტაგის უმრავლესობის მიერ ამ სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია სახელმწიფო გადატრიალების აქტია. იგი განხორციელდა გერმანელი ხალხის ნების წინააღმდეგ. წარმოადგენს ძალადობას ეროვნული თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ, არღვევს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართალს, მოკავშირეთა იალტისა და პოტსდამის შეთანხმებებს იმის შესახებ, რომ გერმანელ ხალხს უფლება აქვს დადოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მის ეროვნულ ერთიანობას და მშვიდობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის პირობებში ცხოვრებას.

ამ ხელშეკრულებებს მოაქვთ არა დამშვიდება, არამედ შეშფოთება, არა უშიშროება, არამედ საფრთხე. მათ მოაქვთ არა მშვიდობა, არამედ განხეთქილება...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა და მხარეთა პალატა, მთავრდება მიმართვა, აცხადებენ, რომ ისინი როგორც წინათ, ისე ახლაც იცავენ თავიანთ წინადადებებს, რომელთა მიზანია:

სრულიად გერმანიის შეთანხმება იმის შესახებ, რომ, რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც გერმანიას მისცემს შესაძლებლობას გახდეს ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო;

მთელი საოკუპაციო ჯარის გაყვანა;

სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა მთელ გერმანიაში თავისუფალი, დემოკრატიული, ფარული და პირდაპირი არჩევნების გზით.

ეროვნული ერთიანობის აღდგენა და მშვიდობის შენარჩუნება უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელი ხალხის საქმეა.

გერმანელ პატრიოტთა ერთობლივი ბრძოლა გამოიწვევს გერმანელი ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვებას.

რუსთაველის თეატრის ახალი დადგმები

მარტის ბოლო რიცხვებში რუსთაველის თეატრი მაყურებელს უჩვენებს მიმდინარე სეზონის ახალ სპექტაკლს გ. ქელბაქიანის პიესას „ახალგაზრდა მასწავლებელი“. სპექტაკლს დგამს რეჟისორი ა. დვალიშვილი, აფორმებს მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა რ. ლაღიძემ.

მთავარ როლებს ასრულებენ თ. თეთრაძე, გ. გეგეჭკორი, კ. მახარაძე, ვ. დოლიძე და სხვ.

სპექტაკლი „დიდი ხელმწიფე“ ნაჩვენები იქნება ახალი შემადგენლობით. მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მსახიობები ე. მანჯგალაძე (ივანე მრისხანე), ნ. ჩხეიძე (შუისკი), თ. თარხნიშვილი (დედოფალი). ბორის გოდუნოვის როლს შეასრულებს ა. აფხაიძე.

თეატრი განაახლებს აგრეთვე ა. ოსტროვსკის პიესას „უდანაშაულო დამნაშავენი“.

690 ათასი ლიტრი ღვინო

თელავი. (საკ. კორ.). წინანდლის ლენინის ორდენოსანი მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის ღვინის ქარხნის კოლექტივი ამზადებს მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოებს. წელს ქარხანამ გამოუშვა 1949 წლის მოსავლის ღვინოები № 1, 2 და 4. მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში გაგზავნა 690.160 ლიტრი საუკეთესო ხარისხის თეთრი და წითელი ღვინოები.

ღვინის ქარხანა 1 მაისამდე კიდევ გამოუშვებს 590.800 ლიტრ ღვინოს და ამით მიცემულ დავალებას ვადაზე გაცილებით ადრე შეასრულებს.

საკონიაკე სპირტი გეგმის გადამეტებით

ყვარელი. (საკ. კორ.). სამტრესტის ყვარლის ღვინის ქარხანათა სამმართველოს ყვარელსა და შილდაში მოწყობილი აქვს საკონიაკე სპირტის სახდელი მექანიზებული ქარხნები. შილდის ქარხანა სპირტს ამზადებს „ენისელის“ მარკის კონიაკისათვის.

შილდისა და ენისლის ქარხნებს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 15.000 ლიტრი საკონიაკე სპირტი უნდა გამოეხადათ. ფაქტიურად ორთვენახევარში 20.100 ლიტრი სპირტი დაამზადეს. გადაჭარბებთ იქნა შესრულებული აგრეთვე ნედლი სპირტის გამოხდის დავალება. გეგმის ზევით გამოშვებულია 6.000 ლიტრზე მეტი სპირტი.

ქირის ბუნკერის მშენებლობა

ხაშური. (საკ. კორ.). საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სურამის კირის ქარხანაში გამომწვარი კირის ვაგონებში და მანქანებში ჩატვირთვა ამჟამად ხელით წარმოებს, რაც დიდ შრომასა და ხარჯებს მოითხოვს.

ამასწინათ ქარხნის მახლობლად დაიწყო 700 კუბმეტრის ტევადობის ბუნკერის მშენებლობა. მშენებლობის დამთავრების შემდეგ კირის ჩატვირთვა ვაგონებში მექანიზებული იქნება.

სასუქების მოუჩქვეფა თვითმფრინავით

ელდარის საბჭოთა მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა ჯეჯილების დამატებით გამოკვებას. ამ მიზნით მეურნეობამ 630-ზე მეტი ტონა მინერალური სასუქები მოიმარაგა. ჯეჯილებში სასუქები თვითმფრინავების საშუალებით შეაქვთ.

მარტო ერთმა თვითმფრინავმა ერთი საათის განმავლობაში 50 ჰექტარ ნათესზე მოაფრქვია მინერალური სასუქი.

გაზეთი „ახალი შირაქი“.

უძლიერეს ქალაქთა ჭიდაობა

ძმახეჭრები

რიგეთ სამეგრელოს [illegible] მიმდინარეობს შეჯიბრება კალათბურთში საბჭოთა კავშირის 1953 წლის ზამთრის პირველობისათვის.

ჩემპიონატის მესამე დღეს მძაფრი ბრძოლის შემდეგ ლენინგრადის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა წაგო შეხვედრა რსფს რესპუბლიკის გუნდთან ანგარიშით 55:61. ამავე დღეს ნოსკოვის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა მოუგო მოლდავეთის გუნდს 79 : 34, ხოლო დედაქალაქის ქალთა გუნდმა — უზბეკეთის კალათბურთელებს 95 : 35.

შეჯიბრების მეოთხე დღეს, 23 მარტს, დიდ ინტერესს იწვევდა მოსკოვისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 61 : 59.

წარმატებით თამაშობს საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდი, რომელმაც 23 მარტ